www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

საქართველოში

2017

წელი

30.03.2018

www.geostat.ge

30.03.2018

2017 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები[1]

დაბადება

2017 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 53 293 ბავშვი შეადგინა. ქვეყანაში 27 658 ბიჭი და 25 635 გოგო დაიბადა. შესაბამისად, ყოველ 100 ცოცხლად დაბადებულ გოგოზე დაიბადა 107.9 ბიჭი. წინა წელთან შედარებით ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 5.8 პროცენტით შემცირდა.

ცხრილი 1: ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას

წელი	ორივე სქესი	ბიჭი	გოგო	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას
2016	56 569	28 887	27 682	104.4
2017	53 293	27 658	25 635	107.9

2017 წელს ყველაზე მეტი დაბადება დაფიქსირდა ქ. თბილისში (14 906 ბავშვი), ხოლო ყველაზე მცირე - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (341 ბავშვი).

ცხრილი 2: ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2016	2017
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო	**56 569**	**53 293**
ქ. თბილისი	16 784	14 906
აჭარის ა.რ.	5 977	6 108
გურია	1 535	1 471
იმერეთი	7 784	7 574
კახეთი	4 870	4 722
მცხეთა-მთიანეთი	1 180	1 205
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	327	341
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4 797	4 436
სამცხე-ჯავახეთი	2 349	2 178
ქვემო ქართლი	6 892	6 693
შიდა ქართლი	4 074	3 659

[1] მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს

დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 40.6 პროცენტიდან 38.9 პროცენტამდე შემცირდა რიგით პირველი დაბადებულის წილი. მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი 21.3 პროცენტიდან 22.6 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა.

დიაგრამა 1: ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დაბადების რიგითობის მიხედვით



წინა წელთან შედარებით 2017 წელს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 35.6 პროცენტიდან 32.7 პროცენტამდე შემცირდა. 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების წილი 61.6 პროცენტიდან 64.6 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 40 წლის და უფროსი ასაკის დედების წილი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

დიაგრამა 2: ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დედის ასაკის მიხედვით



2017 წელს დედის საშუალო ასაკმა პირველი ბავშვის დაბადებისას 25.4 წელი შეადგინა.

გარდაცვალება

2017 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობა 2016 წელთან შედარებით 5.8 პროცენტით შემცირდა და 47 822 ადამიანი შეადგინა.

ისევე როგორც დაბადების შემთხვევაში, 2017 წელს გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა ქ. თბილისში (11 976 კაცი), ხოლო ყველაზე ნაკლები - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (736 კაცი).

ცხრილი 3: გარდაცვლილთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2016	2017
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო	**50 771**	**47 822**
ქ. თბილისი	12 720	11 976
აჭარის ა.რ.	3 622	3 480
გურია	1 832	1 861
იმერეთი	9 102	8 733
კახეთი	5 099	4 806
მცხეთა-მთიანეთი	1 416	1 370
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	823	736
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5 532	5 119
სამცხე-ჯავახეთი	2 053	1 941
ქვემო ქართლი	4 855	4 351
შიდა ქართლი	3 717	3 449

2017 წელს, 512 ჩვილი (1 წლამდე ასაკის ბავშვი) გარდაიცვალა. ამასთან, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) წინა წელთან შედარებით 0.6 პუნქტით გაიზარდა და 9.6 პრომილე შეადგინა.

5 წლამდე გარდაცვლილთა კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 2016 წელთან შედარებით თითქმის უცვლელი დარჩა და 11.1 პრომილე შეადგინა.

ბუნებრივი მატება

2017 წლის ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) წინა წელთან შედარებით 5.6 პროცენტით შემცირდა და 5 471 შეადგინა.

დიაგრამა 3: ბუნებრივი მატება რეგიონების მიხედვით (2017 წელი)



2017 წელს ბუნებრივი კლება დაფიქსირდა კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონებში.

ქორწინება

2017 წელს რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა[2] წინა წელთან შედარებით 5.6 პროცენტით შემცირდა და 23 684 შეადგინა.

ცხრილი 4: რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2016	2017
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო	**25 101**	**23 684**
ქ. თბილისი	7 304	6 984
აჭარის ა.რ.	2 631	2 548
გურია	752	647
იმერეთი	3 832	3 850
კახეთი	1 936	1 744
მცხეთა-მთიანეთი	567	475
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	203	211
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 241	2 101
სამცხე-ჯავახეთი	1 071	993
ქვემო ქართლი	2 867	2 617
შიდა ქართლი	1 697	1 514

[2] რაოდენობა არ მოიცავს იმ ქორწინებებს, როდესაც ორივე პირი უცხო ქვეყნის მოქალაქეა

2017 წელს პირველი ქორწინების საშუალო ასაკმა ქალებისთვის 27.4, ხოლო მამაკაცებისთვის 30.2 წელი იყო.

განქორწინება

2017 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 10 222 შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 7.2 პროცენტით გაიზარდა.

ცხრილი 5: რეგისტრირებული განქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2016	2017
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო	**9 539**	**10 222**
ქ. თბილისი	3 688	3 731
აჭარის ა.რ.	717	678
გურია	230	237
იმერეთი	1 450	1 739
კახეთი	676	783
მცხეთა-მთიანეთი	233	222
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	56	72
სამეგრელო-ზემო სვანეთი	725	825
სამცხე-ჯავახეთი	202	217
ქვემო ქართლი	982	1 067
შიდა ქართლი	580	651

საკონტაქტო პირი: პაატა შავიშვილი, ტელ.: +995 32 236 72 10 (601); ელ- ფოსტა: shavishvili@geostat.ge